საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1006

30/10/2020

ქ. თბილისი

„სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგო“-ს მიერ ქ. მარნეულში, 500 კვ. ეგხ „მუხრანი“-ს 500 კვ-იან ქ/ს „მარნეული“-ს სალტეზე მიერთების მოწყობა/მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 7 მარტის №2-139 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ ქ. მარნეულში, 500 კვ. ეგხ „მუხრანის“ 500 კვ-იან ქ/ს „მარნეულის“ სალტეზე მიერთების, მოწყობა/მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 7 მარტის №2-139 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების პირველ და მე-3 პუნქტებში მითითებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი (№11; 02.03.2018), რაც საჭიროებს შესწორებას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგო“-ს მიერ ქ. მარნეულში, 500 კვ. ეგხ „მუხრანი“-ს 500 კვ-იან ქ/ს „მარნეული“-ს სალტეზე მიერთების მოწყობა/მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 7 მარტის №2-139 ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ ქ. მარნეულში, 500 კვ. ეგხ „მუხრანის“ 500 კვ-იან ქ/ს „მარნეულის“ სალტეზე მიერთების, მოწყობა/მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სს გაერთიანებულმა ენერგეტიკულმა სისტემა „საქრუსენერგომ“ საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა „საქრუსენერგოს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი